Erasmus+

სალექციო კურსი სიგნალების დამუშავების შესახებ,
დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში

2022 წლის 6-10 ივნისს, სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასოც. პროფ. ნიკოლოზ აბზიანიძე, Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, აკადემიური პერსონალის მობილობით იმყოფებოდა დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (West Pomeranian University of Technology –WPUT) (შჩეცინი, პოლონეთი).

მობილობა განხორციელდა Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და რომლის კოორდინატორია შჩეცინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი.

ტექნიკური უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორმა წაიკითხა მოკლე სალექციო კურსი საგანში „სიგნალების დამუშავება“, ბაკალავრიატის სწავლების სტუდენტებისათვის, რომლებიც ერაზმუსის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლობენ აღნიშნულ უნივერსიტეტში, ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით.

სტუ-ს ასოც. პროფესორს მასპინძლობას უწევდნენ Erasmus+ საერთაშორისო კოორდინატორი აგატა ბრუსკა (Agata Bruska); ელექტრული ინჟინერიის ფაკულტეტის პროფ. იოანა გორეცკა (Joanna Górecka) და ფაკულტეტის სხვა წარმომადგენლები. პოლონელ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებზე განხილული იქნა ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები. სტუმრობისას ასოც. პროფ. ნიკოლოზ აბზიანიძემ, ასევე, წარმოადგინა პრეზენტაცია ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროცესების მიმდინარეობის შესახებ.

სამუშაო ვიზიტის დროს გათვალისწინებული იყო გაცნობითი და საქმიანი შეხვედრებიც, კერძოდ, კომპიუტერული მეცნიერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ფაკულტეტის Erasmus+ კოორდინატორთან მარჩინ პიეტზუკოვსკისთან (Marcin Pietrzykowski), რომელიც, ამასთანავე, ხელოვნური ინტელექტისა და გამოყენებითი მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. საუბრისას განიხილეს ერთობლივი ორმაგი ხარისხის პროგრამებზე მუშაობის შესაძლებლობები კომპიუტერული მეცნიერების, კომპიუტერული ინჟინერიისა და ტელეკომუნიკაციის მიმართულებით.

ინტენსიური მობილობის სამუშაო პროგრამით დაგეგმილი იყო სოციალურ-კულტურული ღონისძიებებიც, რომელიც ითვალისწინებდა

ქალაქისა და ახლომდებარე ისტორიული ძეგლების დათვალიერებას მასპინძელი უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად.